გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ხაშურის მოამბე

№50 (251) 30 დეკემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

გისურვებთ კეთილდღეობას და წინსვლას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, თითოეულ ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს გულწრფელად ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ ხვავი, ბარაქა და ულევი სიხარული მუდმივად ჰქონოდეს ყველას, მშვიდობა და სიყვარული ყოფილიყოს თითოეულის თანამგზავრი.

ახალი წელი, ერთგვარად, იმედების დღეა და ღმერთმა ქნას, წელს ყველა იმედი და ოცნება აგღსრულებოდეთ. ამასთან ერთად, გვინდა, გისურვოთ თვითრწმენის ამაღლება, ახალი შთაბეჭდილებები და ახალი შესაძლებლობები.

ჩვენი სურვილია, ყველა-დიდი თუ პატარა, ერთად ვმონაწილეობდეთ ჩვენი ქალაქის თუ მუნიციპალიტეტის წინსვლასა და აღორძინებაში. მუნიციპალიტეტის მერია და მისი თითოეული თანამშრომელი კი ყველა ღონეს იხმარს, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდეს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 2020 წლის შემობრძანებას და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

კეთილდღეობა და წინსვლა დაგბედებოდეთ!

პატივისცემით,

გიორგი გურასპაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო ხაშურელებო!

კიდევ ერთი წელი მიითვალა ჟამთაგამრიგემ. კიდევ ერთხელ მომეცა შესაძლებლობა გულწრფელად მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი.

დღეს ერი გოლგოთის აღმართზე დგას. გახშირდა ყმაწვილთა მკვლელობა და თვითმკვლელობა. უდიდესი ტრაგედიაა 15 წლის მოზარდის გარდაცვალება. სრულიად საქართველო შეაძრწუნა ამ ტრაგედიამ, ყველანი ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას და თანავუგრძნობთ, მაგრამ მარტო თანაგრძნობა არაფერს შეცვლის. ჩვენი მომავლის ინტერესები მოითხოვს კანონის ორლესულით, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის სახელით, ძირმაგარასავით გამოვრწყათ ყველა ნაკლი, რომელ უწყებაშიც არ უნდა იყოს, რადგან საფრთხის ქვეშ დგას თაობა, რომელიც ჩვენი მომავალი, ჩვენი გვარ- სახელის სათავეა.

იმედი არ კვდებაო, უთქვამთ და ჩვენც ყოველ ახალ წელს იმედით ვხვდებით, იმედით აღვსილნი ვუსურვებთ ერთმანეთს დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას; ოღონდ ეგაა, პირველი ორი ჩვენი სურვილია მხოლოდ, ნება კი ღვთისა. ერთადერთი, რაც შეგვიძლია და ჩვენზეა დამოკიდებული, სიყვარულია, ღვთიური სიყვარული, რომელსაც საზღვარი არა აქვს და იგია ალბათ ბედნიერების სათავეც.

„ღმერთი სიყვარული არს“ - გვასწავლის იოანე ღვთისმეტყველი.

ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე ღირსებაა - ბრძანა ილიამ.

ღირსება და სიყვარული გზა არის ღვთისაკენ, სიკეთისაკენ, ბედნიერებისაკენ მიმავალი და ამ გზით სიარულს გისურვებთ, ჩემო ხაშურელებო.

„თუ თავი შენი შენ გახლავს ყარიბად არ იხსენები“ - დაგვმოძღვრა შოთამ და „თავი შენი“ სწორედ ღირსებაა, სიყვარულია. არადა, ღირსების შემლახველ და სიძულვილის ბევრ მაგალითს გვიტოვებს მილეული წელი. თუ არა ღირსების შელახვა და სიძულვილი, სხვა რა დავარქვათ იმ გააფთრებულ შეტევას დედაეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელზე, რომელიც ყველამ ვიხილეთ?

ჩვენი ეკლესია ხომ მუდამ დარაჯად ედგა ერის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. ის იყო იდეა ქართველთა თანხმობისა, თანხმობისას კი ქართველი უძლეველი იყო ყოველთვის. მეტიც, როდესაც სამშობლო მტრისაგან დაპყრობილი და დაქუცმაცებული იყო, სწორედ ეკლესიის წიაღში იშვა მისი მთლიანობის იდეა, რომელიც ასე ჩამოყალიბდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

მაჟორიტარი დეპუტატები ფეოდალებად, მომხვეჭელებად, ხალხისაგან მოწყვეტილებად ვართ მავანთა მიერ სახელდებულნი. ასეა თუ არა, ეს თქვენ უკეთ უწყით, მე ერთი შემიძლია გითხრათ, არასდროს მავიწყდება უფლის სიტყვები - არა მოვედ რათა გიმსახუროთ, არამედ მსახურებად თქვენდა...

დრო-ჟამი მხოლოდ სამარის ბორცვებს როდი ასწორებს, იგი სიმართლის სასწორს ჩვენს ნამოქმედარსაც უდგამს.

მრავალ ახალ წელს დასწრებოდეთ!

იმრავლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ!

პატივისცემით,

სიმონ ნოზაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

ძვირფასო თანამოქალაქენო!

მინდა, მოგილოცოთ დამდეგი 2020 წელი, ტრადიციისამებრ, როგორც ეკადრება ქართველ კაცს, ახალი შემართებით და უკეთესის მოლოდინით!

ჩემო ხაშურელებო, თქვენთან ერთად, ერთიანი ძალებით და უფლის შეწევნით, ხვალინდელი აუცილებლად აჯობებს დღევანდელს. თუ ობიექტურად შევაფასებთ იმ სასიკეთო ძვრებს, რაც ბოლო წლების განმავლობაში ხაშურს დაეტყო, თამამად გეტყვით, რომ ქვეყნის ეტაპობრივი განვითარების საერთო ფონზე ხაშური არ ჩამორჩება არცერთ რეგიონს და მომავალშიც, ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ - ეკონომიკური წინსვლისთვის, კიდევ არაერთ ინფრასტრუქტურულ პროექტს განვახორციელებთ.

უპირველეს ყოვლისა, მინდა გისურვოთ სიმშვიდე, რაც ასეთი აუცილებელი პირობა გახდა ჩვენი ყოველდღიურობისთვის, არ მოაკლდეს არცერთ ოჯახს ბედნიერების და სიმყუდროვის განცდა, დოვლათი და ბარაქა!

კიდევ ერთხელ გილოცავთ, რწმენით და სიყვარულით შევდგომოდეთ ახალ 2020 წელს!

პატივისცემით,

მიხეილ ჯანაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში 2019 წელს განხორციელებული პროექტები შეაჯამეს

შიდა ქართლის რეგიონში მომუშავე სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის მერები შეხვდნენ. შეხვედრაზე 2019 წელს განხორციელებული პროექტები და 2020 წლის გეგმები განიხილეს.

"მიმდინარე წელს რეგიონში პროექტები დათქმულ ვადებში და რაც მთავარია, შესაბამისი სტანდარტების დაცვით შესრულდა. ამიტომ, პირველ რიგში, მადლობას ვუხდი თითოეულ კომპანიას გაწეული საქმიანობისთვის. რაც შეეხება, სამომავლო გეგმებს, არანაკლებ დატვირთული გვექნება და ვიმედოვნებ, ჩვენს თანამშრომლობას ისევ აქტიურად და პროდუქტიულად გავაგრძელებთ."- აღნიშნა რწმუნებულმა.

წლის განმავლობაში,რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში გზების, სანიაღვრეების, სასმელი და სარწყავი სისტემების, ამბულატორიების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. მათი გარკვეული ნაწილი გარდამავალია და 2020 წელს დასრულდება. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტისა, პროექტები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

აღსანიშნავია, რომ წელს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, აქტიურად მიმდინარეობს, ატენის სიონის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურისა და საპარკინგე სივრცის მოწყობა. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს კასპის პროფესიული სასწავლებლისა და ტექნოპარკის მშენებლობა. თითოეულ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ რეგიონის 67 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

ჯამში, მიმდინარე წელს შიდა ქართლში 71 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 617 პროექტი განხორციელდა.

საპრეზენტაციო შეხვედრა სურამის ქალაქმშენებლობით გეგმასთან დაკავშირებით

ამ დღეებში, შპს „ურბანიკას" ხელმძღვანელმა ირაკლი მურღულიამ მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებისთვის დაბა სურამის ქალაქმშენებლობითი გეგმის შემუშავების ტექნიკური წინადადების საპრეზენტაციო შეხვედრა ჩაატარა.

შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები.

შეხვედრა საქმიან ხასიათს ატარებდა. „ურბანიკა", ტენდერში გამარჯვებული კომპანიაა, რომელიც დაბა სურამის ქალაქმშენებლობით გეგმაზე მუშაობს. პრეზენტაციის ფარგლებში იმსჯელეს ტექნიკური მიდგომების და განვითარების პრინციპების შესახებ, გაცვალეს საქმიანი ინფორმაცია, გაიმართა საგნობრივი დისკუსია.

შპს „ურბანიკა" სურამის ქალაქმშენებლობითი გეგმის შემუშავების ფარგლებში შეხვედრების ჩატარებას დაბა სურამის მოსახლეობასთანაც გეგმავს.

მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა საკრებულოს შესაბამის კომისიას 2019 წლის 11 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში ჩააბარა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოისმინა მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში 2019 წლის 11 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ ბარბაქაძემ ვრცლად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში გაწვევების სტატისტიკასა და გატარებულ ღონისძიებებზე, შეეხო სამომავლო გეგმებსაც. სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ანა ხარებავა.

სურამის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების შესახებ სურამის №2 საჯარო სკოლაში განხილვა გაიმართა

შეხვედრას ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ

განაშენიანების გეგმების შემუშავებისას, პრიორიტეტულად გასათვალისწინებელი საკითხებია - საბავშვო კურორტის ფუნქციის აღორძინება, ბუნებრივი პირობებისა და მინერალური წყლების გონივრულად გამოყენება, ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრის კომპლექსურად მოწესრიგება, არქიტექტურულ-ესთეტიკური იერ-სახის გაუმჯობესება, ქაოსური სამშენებლო სამუშაოების წარმოების რისკის შემცირება, ებრაელთა უბნისა და სინაგოგის არსებული ვითარებისა და შესაძლებლობების ანალიზი, სურამის რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქცია, ე. წ. ბრაუნფილდის - არსებული და მიტოვებული სამრეწველო ობიექტების პერსპექტივის განსაზღვრა

ქალაქთმშენებლობით გეგმებზე მუშაობა მომავალი წლის ბოლომდე გაგრძელდება

"რეპრესირებული" თოვლის ბაბუა, საბჭოთა ახალი წელი და 90-იანების ვერცხლისფერი ნაძვის ხე - როგორი იყო ჩვენი და ჩვენი წინაპრების ახალი წელი ძველად

რა სძენს ზამთრის დღესასწაულებს განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს? რა თქმა უნდა, ნაძვის ხე, მრავალფეროვანი მოსართავები და ილუმინაციები!

ოჯახებში ნაძვის ხის მორთვა ტრადიციად არის ქცეული და მას ყველა წევრი ესწრება. წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მონდომებით ვარჩევთ აქსესუარებს და მოსართავებს სადღესასწაულო ხისთვის. ნაძვის ხე არა მხოლოდ საშობაო და საახალწლო დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტია, არამედ სარკეა, რომელშიც ეპოქის მსოფლმხედველობა ირეკლება...

საახალწლო მოსართავები ოდითგანვე იცვლებოდა მმართველობის სტილიდან, იდეოლოგიიდან და საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, აქვე გასათვალისწინებელია ეკონომიკური მდგომარეობაც. თანამედროვე საშობაო რიტუალის ფორმირება გერმანულ ტრადიციაში შუა საუკუნეების ბოლოსა და ახალი ერის დასაწყისში მოხდა.

რუსეთში ნაძვის ხე, როგორც „საშობაო ხე“ XIX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგელი გერმანელების ოჯახში გაჩნდა. 1817 წელს მან საიმპერატორო კარის მოსასვენებელ ოთახებშიც შეაღწია. ბავშვებისთვის განკუთვნილი ნაძვის ხის ზეიმი კი რუსეთის იმპერიაში პირველად 1828



წელს რუსეთის იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულმა თავისი ხუთი შვილისთვის მოაწყო. პირველად ნაძვის ხე საჯაროდ, რუსეთის იმპერიაში 1852 წელს პეტერბურგში, ეკატერინოგრაფის სადგურზე გამოჩნდა. ამის შემდეგ, ნაძვის ხეების დადგმა თეატრებში, კლუბებში და სხვა თავშეყრის ადგილებში დაიწყეს.

სწორედ ამის გამო, რუსეთის იმპერიაში ნაძვის ხე შობის დღესასწაულთან იყო გაიგივებული და ძირითადად რელიგიური ხასიათის აქსესუარებით ირთვებოდა, მას როგორც სიმბოლოს, საბჭოთა კავშირი დაუპირისპირდა.

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად გამოდიოდა „რელიგიური ცრურწმენების“ წინააღმდეგ. 1920-იანი წლების დასაწყისში კომკავშირის წევრები ალტერნატივის სახის „კომკავშირული შობის“ ორგანიზებას

ცდილობდნენ, რომელსაც რელიგიური დღესასწაულის დისკრედიტირება უნდა მოეხდინა.

თუმცა, ახალგაზრდა კომუნისტების გადაჭარბებულმა ენთუზიაზმმა შესაბამისი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა უფროს თაობაში, რომელთა უმეტესობას ჯერ კიდევ ბავშვობიდან ჰქონდა შემორჩენილი შობასთან დაკავშირებული კეთილი მოგონებები. საბჭოთა კავშირის უკვე მძიმედ ავადმყოფმა ლიდერმა ვლადიმერ ლენინმა 1923 წლის 7 იანვარს, შობას, ბავშვებისთვის ნაძვის ხე თავისი დის, მარია ულიანოვას დახმარებით მოაწყო.

შობა კი საბჭოთა კალენდარში დასვენების დღედ 1929 წლამდე დარჩა. ამის შემდეგ კი, ნაძვის ხეც და თოვლის ბაბუაც “რეპრესირებულთა” სიაში აღმოჩნდნენ, როგორც ბურჟუაზიული და ანტისაბჭოური ტრადიცია. საშობაო ნაძვის ხე კომუნისტების “ტყვეობაში” 5 წელზე მეტი დროის განმავლობაში იყო.

1936 წელს, ნაძვის ხის რეაბილიტაცია საბჭოთა პროპაგანდისტის პაველ პოსტიშევის სახელს უკავშირდება, რომელმაც არსებული ინფორმაციით, სტალინს ბავშვებისთვის დღესასწაულის დაბრუნება სთხოვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდივანმა იოსებ სტლინმა კი მას მხარდაჭერა გამოუცხადა.

ნაძვის ხის დაბრუნების იდეასთან დაკავშირებით, პოსტიშევის პირველი წერილობითი მინიშნება გაზეთ „პრავდაში“ გაჩნდა და აქედან სულ მალე საზოგადოებას ნაძვის ხე დაუბრუნდა, თუმცა, ახალი სტატუსითა და ფუნქციით - თუ რევოლუციამდე ნაძვის ხე შობის დღესასწაულს უკავშირდებოდა და მას ამშვენებდა, რეინკარნირებული ნაძვის ხე ახალი წლის სიმბოლო გახდა, რომელმაც ოჯახებში, სადღესასწაულო განწყობის პარალელურად, საბჭოთა პროპაგანდა შეიტანა.

რელიგიურ ატრიბუტებს ისეთი მოსართავები შეენაცვლა, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიასა და პატრიოტულ სიმბოლიკას უკავშირდებოდა. სწორედ ამ პერიოდიდან, მაღაზიებში ყველანაირ საახალწლო თემატიკას მოკლებული ვარსკვლავების, დროშების, დირიჟაბლების, ჩარხების, თვითმფრინავებისა და ტანკების, მოგვიანებით კი კოსმოსური ხომალდების ფორმის ნაძვის ხის სათამაშოები ჩნდება.

განსაკუთრებული სააგიტაციო ფუნქცია საახალწლო ინვენტარმა, მათ შორის კი საახალწლო მისალოცმა ბარათებმა, მეორე მსოფლიო ომის დროს შეასრულა. მისალოცები სულაც არ იყო საახალწლო განწყობით გაჯერებული ბარათები, არამედ მძიმე საომარ ხასიათს ატარებდა, მსგავსი წარწერებით: „ჩვენს გზაზე მტერი განადგურებულია, ჩვენ მოვიტანთ გამარჯვებას დამდეგი ახალი წლისთვის!“

ფრონტის ხაზზე გასაგზავნი მისალოცი ბარათები, როგორც წესი, ჯარისკაცებს ბრძოლისკენ, გამარჯვებისა და სამშობლოს დაცვისკენ მოუწოდებდნენ. “საახალწლო სალამი სამშობლოს გმირ დამცველებს” - დაახლოებით ასეთ შინაარს შეიცავდა ბარათები, რომლებიც საომარი თემატიკის მიხედვით იყო გაფორმებული.

ეს ბარათები დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა ხიდის როლს ფრონტის ხაზზე მყოფ ჯარისკაცებსა და მათ უკან დარჩენილ ოჯახის წევრებს შორის.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პროფესიონალი მხატვრების მიერ შექმნილი ბარათები ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობს კოლექციონერებს შორის. კომპოზიციის მრავალფეროვნება და ორიგინალურობა სწორედ ის მახასიათებლებია, რის გამოც მათი კოლექციონირება დაიწყეს.

ოფიციალურად, ნაძვის ხემ თავი იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიმკვიდრა. თუმცა, ამ დროსაც მისი მოსართავები კვლავაც ხაზს უსვამდა იმ იდეოლოგიას, რაც საბჭოთა კავშირში იყო გამეფებული.

ზოგადად, ნაძვის ხე, პროპაგანდისტული მიზნებისთვის საბჭოთა კავშირში საკმაოდ წარმატებით გამოიყენეს, ამიტომ წლიდან წლამდე ეს სადღესასწაულო ატრიბუტი, თავისი მოსართავებით, ყველა იმ აქტუალური მოვლენის ისტორიას ყვებოდა, რაც კონკრეტულ პერიოდში მიმდინარეობდა - იქნებოდა ეს ცივი ომი და ამერიკის კულტურასთან დაპირისპირება, თუ რბოლა კოსმოსში უპირატესობის მოსაპოვებლად.

ნაძვის ხემ თავისი მოსართავებით ყველა ეს ისტორია საკუთარ ტოტებზე გადაიტანა. საბჭოთა კავშირის შემდეგ, სადღესასწაულო ნაძვმა პროპაგანდისტული წნეხისგან ამოისუნთქა, თუმცა გაჭირვების ტვირთით

დამძიმდა, რაც მის გარეგნულ მხარეს აშკარად დაეტყო.

სწორედ „ბნელ 90-იანებში“, როდესაც მოსახლეობას არ ჰქონდა ელქტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი, საახალწლოდ განსაკუთრე-

(დასასრული IV გვერდზე)

"რეპრესირებული" თოვლის ბაბუა, საბჭოთა ახალი წელი და 90-იანების ვერცხლისფერი ნაძვის ხე - როგორი იყო ჩვენი და ჩვენი წინაპრების ახალი წელი ძველად

(დასასრული)

ბით მოთხოვნადი გახდა დაბალხარისხიანი პლასტმასის მოსართავები, რომლებიც ალბათ, იმაზე უფრო იყო გათვლილი, რომ არ გამტყდარიყო და რაც შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში „დაემშვენებინა“ ნაძვის ხე.

ასევე, ამ დროს მოდაში შემოსული უგემოვნო წვიმებიანი ვერცხლისფერი ნაძვის ხეები, რომლებიც სავარაუდოდ იმისთვის შეიქმნა, რომ

უშუქობისა და სიბნელის პირობებში ოთახში მეტნაკლებად გამოჩენილიყო - სხვა გამართლდა მსგავსი დიზაინის ნაძვის ხის შექმნას რთულია მოუძებნო.

სადღესასწაულო ილუმინაციები, სანტა კლაუსი, საჩუქრები, რომლებსაც ბავშვები ნაძვის ხის ქვეშ ელიან და სიმღერები, რომლებიც შობა-ახალი წლისგან უკვე განუყოფელია - ეს ის სასიამოვნო სიახლეებია, რომლებიც ჩვენს საახალწლო ტრადიციაში ამერიკულმა კულტურამ დაამკვიდრა.

ამერიკულ მასკულტურაში სანტა-კლაუსის აქტიურად დამკვიდრებამ საახალწლო სიმღერები კიდევ უფრო დასამახსოვრებელი, წითელი ფერი კი განსაკუთრებით საზეიმო გახადა.

დღეს, მსოფლიოს ქალაქებს შორის ერთგვარი კონკურსიც კი არსებობს, ვის უფრო ლამაზი და ორიგინალური ნაძვის ხე ედგმება. ზოგიერთ ქვეყანაში კი ქალაქის მთავარი ნაძვის ხის განათებას ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

დღეს ნაძვის ხე ძირითად შემთხვევაში ირთვება იმის მიხედვით, თუ რისი წელი მოდის, რომელი ფერი იქნება იღბლიანი და დომინანტი და რა ტრენდია ბაზარზე.

მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში უპირატესობას ხელნაკეთ მოსართავებს ანიჭებენ, სადაც მსხვრევად და მტვრევად მასალაზე მეტად ეკოლოგიურად სუფთა მასალა ჭარბობს.

სათამაშოები რაიმე სახის პროპაგანდასა და იდეოლოგიას აღარ ატარებენ და ისინი მიმზიდველი, გემოვნებიანი, მრავალფეროვანი და გამორჩეულია.

გილოცავთ შორეული სამხრეთ აფრიკიდან

ალბათ, ბავშვობაში განცდილი გრძნობა თუ ემოცია, როგორიც არ უნდა იყოს ის, ყოველივე ჩვენთაგანს ცხოვრების ბოლოდე მიჰყვება. სწორედ ასეთი განცდა მეუფლება ყოველი ახალი წლის დადგომის წინა დღეებში, სადაც არ უნდ ვიმყოფებოდე.

ეს სასიამოვნო შეგრძნება კიდევ უფრო მეტი სიცხადითა და ნოსტალგიის თანხლებით მახსენდება ისეთ უჩვეულო გარემოში მყოფს, რომელშიც ბოლო რამოდენიმე წელია ვცხოვრობ. სწორედ აფრიკის ძალიან ცხელ და მზიან წინასაახალწლო დღეებში, დღე არ გავა, რომ არ გამახსენდეს ახალი წლის თოვლიანი და ძალიან სუსხიანი წინა საახალწლო დღეები, როდესაც ხაშურის ჩვენს ძალიან დიდი სახლში, საოცრად ლამაზ, თბილ და სასიამოვნო ემოციებით გადავსებულ, თითქმის არარეალურ გარემოში ვიღვიძებდი ახლო ნათესავებით გარსშემორტყმული.

მახსენდება სახლში არსებული ორომტრიალი; უფროსების დაუღალავი ფუსფუსი, ტელეფონის თითქმის გაბმული ზარები, უწყვეტი მოლოცვების მოსმენა, უამრავი საჩუქარი და ბავშვების გაუთავებელი თამაში. ბიძაჩემის ყოველ წელს ზუსტად ერთი და იგივე ფრაზის მოსმენა, რომ უკვე დიდები გავხდით და აღარ უნდა დაგვჭირდეს იმდენი შენიშვნების მიღება, რამდენიც უკვე გასულ წელს დავიმსახურეთ და რომ ბოლოს და ბოლოს, ცირკში ბეჰემოთი მოათვინიერეს და ჩვენ რა გვჭირს და რა დაგვემართა ასეთი. ერთი სიტყვით, წინასაახალწლო დღეებში, ჩვენი სახლი საბავშვო მულტიპლიკაციური ფილმის სიუჟეტს ჰგავდა, სადაც მთელი დღის განმავლობაში ყველა თავის საქმეს აკეთებდა დიდი რუდუნებით და საღამოს მაინც ყველა ბედნიერი იყო ამ გაუჩერებელი ფუსფუსით გამოწყვეული გადაღლილობის მიუხედავად.



ამ ორომტლიალში მე და ჩემი ბიძაშვილი – დათო, სულმოუთქმელად ველოდებოდით თორმეტი საათის დადგომას, როდესაც ბაბუაჩვენი სახლის მორე სართულზე ავიდოდა და ჩვენც თან წაგვიყვანდა. ერთერთი კარადის თავიდან გადმოიღებდა ძველ, მაშინ ჩვენთვის უშველებელ სანადირო თოფს, რომლის დანიშნულებას მხოლოდ ახალი წლის ღამეს ჰაერში გასროლა წარმოადგენდა, მას კარგად გაწმენდდა და შემდეგ ჩვენი თანხლებით გამოაღებდა ფანჯარას, საიდანაც გარედან შემოვარდნილი სუსხი წამიერად აგვიწვავდა ხოლმე სახლის სითბოში და მთელი დღის სირბილის გამო აღაჟღაჟებულ ლოყებს და ამ თოფს ორჯერ გაისროდა ჰაერში.

პირადად ჩემთვის ამ თოფის გასროლა რაღაცის დასასრულსა და ამასთან, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელის დასწყისს მოასწავებდა. ცოტა ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ მიხაროდა ამ თოფის ხმის გაგონება, მართალი გითხრათ, დღეს ჩემთვისაც გაუგებარია, თუ რატომ ველოდი ასე სულმოუთქმელად და რატომ მაბედნიერებდა ამ თოფის ხმის გაგონება. ალბათ იმიტომ, რომ ამ თოფის ხმის გაგონების შემდეგ, სულ რამდენიმე თვეში კიდევ ერთ კლასს დავამთავრებდი, ან კიდევ ერთი წლით დიდი გავხდებოდი, ან მალე დადგებოდა ზაფხული, როდესაც ბაბუა შეპირებულ პირობას შეასრულებდა და მორიგ ველოსიპედს მიყიდდა და ალბათ, კიდევ სხვა მიზეზების გამო, რაც დღეს უკვე აღარ მახსოვს, მაგრამ ერთი რამ, რაც ძალიან კარგად მახსოვს იყო ის, რომ ამ ყოველწლიური რიტუალში მონაწილეობა უზომოდ მაბედნიერებდა მეც და ჩემი ბიძაშვილ დათოსაც.

საახალწლო ბედნიერებას ვერაფერს აკლებდა ყოველს წელს ახალი წლის დადგომის წინა საათებში შუქის გათიშვა და ამის გამო გამოწვეული დიდი უკმაყოფილება, რომ მორიგი ახალი წელი ჩაუმწარდათ. მეორე სართულზე ბაბუასთან ერთად ასვლა, ჰაერში თოფის სროლა და შემდეგ მოულოდნელად შუქის მოსვლა, ისედაც ბედნიერებს, კიდევ უფრო გვახალისებდა და მხოლოდ ერთი აუსრულებელი სურვილის ასრულება გვინდოდა, რომ ეს ახალი წელი კიდევ დიდიხანს, დიდხანს გაგრძელებულიყო.

ამ სასიამოვნო მოგონებებით გილოცავთ, ჩემო ხაშურელებო, ახალ, 2020 წელს, ეს წელი, მშვიდობის და გამთლიანების წელი ყოფილიყოს!

შაკო დათიაშვილი,
სამხრეთ აფრიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი

2020 წლის ჰოროსკოპი

მალე ახალი - 2020 წელი დადგება, რომელიც აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ახალ 12 წლიან ციკლს გახსნის. დამდეგი წლის პირველი მმართველი თეთრი მეტალის ვირთხაა - ჭკვიანი, ეშმაკი და სახიფათო მღრღნელი. ამ მხრივ საინტერესოა, მომავალი პერიოდი, ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით რას გვიმზადებს.

ვერძი

2020 წელი ვერძის ნიშნის წარმომადგენლისთვის გამოცდის და გამძლეობის შემოწმების პერიოდი იქნება. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს წელი ნაკიანი იქნება. ვერძს მხოლოდ შეუპოვრობა და თავდაჯერებულობა არ ეყოფა, რომ სასურველს მიაღწიოს. უფრო რბილი და მოქნილი უნდა გახდეთ, რომ საკუთარ მიზნებს არა უხეში ძალებით, არამედ დიპლომატიის გზით მიაღწიოთ. არც თუ ისე მშვიდი პერიოდი გელოდებათ, მაგრამ თუ ხელს არ ჩაიქნევთ და მოთმინებას მოიკრებთ, ეს პერიოდი პოზიტიურ ნოტაზე და მნიშვნელოვანი დადებითი შედეგებით დასრულდება.

კურო

ყველა ანგარიშით, სწორედ თქვენი წელი დგება! კურო მიზანდასახული ადამიანია, რომელსაც მომავალი სარგებლის მისაღებად ლოდინი შეუძლია, ხოლო ამის შეგრძნების შემდეგ, მომენტს ხელიდან არ უშვებს. სწორედ ისეთი პერიოდი დგება, როცა იღბლის დაჭერას გაწვდენილი ხელით მოახერხებთ. საკუთარ თავზე მცირე ძალისხმევით ცხოვრების კარდინალურად შეცვლას შეძლებთ. ვენერას დაქვემდებარებულებს ცვლილებები არ უყვართ. თუ გამბედაობას და სითამამეს გამოიჩენთ, უახლოესი 12 წელი წარმატება თქვენს მხარეს იქნება!

ტყუპები

2020 წელი საკმაოდ ოპტიმისტური იქნება. ის ახალ ნაცნობებს და მიმზიდველ შეთავაზებებს გპირდებათ. არსებობს ალბათობა, რომ თქვენი ოჯახის სტატუსი შეიცვლება ან სამსახურში პერსპექტიულ შეთავაზებას მიიღებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაადრევი სიხარული არ დირს. რთული პერიოდი გელოდებათ, რომელიც ამა თუ იმ სტატუსში თქვენი მდგომარეობის დადასტურებას მოითხოვს. თუ სამყაროს საჩუქარს სწორად გადაანაწილებთ, წარმატება თქვენს მხარეს იქნება.

კირჩხიბი



თეთრი მეტალის ვირთხა კირჩხიბის ნიშნის წარმომადგენლებს სერიოზული არჩევანის წინაშე აყენებს – იმოქმედონ და ბედნიერი ცხოვრების შანსი მიიღონ, ან ოცნებაზე უარი თქვან და მთელი ცხოვრება სინანულში გაატარონ. სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მთელი თქვენი შეუპოვრობა დაგჭირდებათ. ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები გელოდებათ, მაგრამ მათ შესაგრძნებად „ნაჭუჭიდან“ უნდა გამოხვიდეთ და თქვენი ღირსებები ყველას აჩვენოთ. ამასთან ფაქტია, რომ წარმატების მისაღწევად დაძაბული უნდა იყოთ. ზოგჯერ საკმარისია მოდუნდეთ და მიიღოთ ყველაფერი ისე, როგორც არის.

ლომი

ვირთხის წელი უამრავ განსაცდელს გპირდებათ. მოულოდნელი ზარალისა და გეგმების შეფერხებისთვის მზად იყავით, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში. მომავალში კი ყველაფერი თქვენს ინტერესსა და ნებისყოფაზე იქნება დამოკიდებული. მთავარია, წვრილმანებს ყურადღება მიაქციოთ. ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარება არ სცადოთ, ასე შეიძლება მნიშვნელოვანი დეტალები გამოგრჩეთ, რაც ღირსეული ადგილის დაკავებაში ხელს შეგიშლით. თქვენ კი ამას, უდაოდ, იმსახურებთ.

ჭალწული

2020 წელი მერკურის მფარველობის ქვეშ მყოფი ნიშნებისთვის წარმატებული იქნება. ჭალწულისთვის კი ნამდვილად ფანტასტიკური პერიოდია. წლის დასაწყისში შთაგონებას და მთების გადადგმის სურვილს იგრძნობთ, რომ ბედნიერი და კომფორტული ცხოვრება მიიღოთ. ამ დროს დაძინება და ყველაფრის თავის ნებაზე მიშვება არ ღირს. მჩქეფარე ენერგია უნდა მართოთ. ეს ენერგია განვითარებისა და წინსვლისკენ მიმართეთ. ამისთვის გამბედაობა და ერთგულება დაგჭირდებათ.

სასწორი

სხვა ზოდიაქოს ნიშნებისგან განსხვავებით, სასწორმა ყურადღება საკუთარ ცხოვრებას უნდა მიაქციოთ, ოჯახთან და ირგვლივ მყოფ ხალხთან ურთიერთობის საკითხებს დრო უნდა დაუთმოს. თუ ჰარმონიაზე ოცნებობთ, პირველ რიგში, საკუთარ გრძნობებში უნდა გაერკვეთ და სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ. წლის მეორე ნახევარი ამ მიზნებისთვის იდეალური იქნება. თქვენთვის ეს შეიძლება მეორე ნახევართან შეხვედრა ან ბავშვის მალე დაბადების სიახლე იყო.

მორიელი

მეტალის ვირთხა რთულ პერიოდს გპირდებათ. გაზრდილი ზეწოლისთვის მოემზადეთ, რომელსაც ხალხი და სხვადასხვა გარემოება მოახდენს. დამატებითი პასუხისმგებლობის აღება მოგიწევთ, მაგრამ წლის ბოლოს გასული პერიოდის სიამოვნებით გახსენება თუ გსურთ, ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ. დანარჩენ შემთხვევაში უფრო თავშეკავებული იყავით. თქვენი უხეში, დაუფიქრებელი ქცევები სერიოზულ ზიანს მოგაყენებთ.

მშვილდოსანი



იუპიტერის მფარველობის ქვეშ მყოფი მშვილდოსნისთვის მნიშვნელოვანი დრო დგება, რომელსაც შეიძლება „განწმენდის პერიოდი“ ვუწოდოთ. 2020 წელს მშვილდოსანს საკუთარი გარემოს გადახედვა და სინანულის გარეშე ზოგიერთის ჩამოშორება მოუწევს. უფრო მეტიც, თეთრი ვირთხის წელმა მშვილდოსანს შეიძლება ბიზნესში ბედნიერები ცვლილებები მოუტანოს. შეიძლება საკუთარი საქმე გახსნათ, რომელიც წლები უზრუნველგყოფთ. მნიშვნელოვანია, რომ უსარგებლო წვეულებებსა და სასიყვარულო საქმეებში ბედნიერი ცხოვრების შანსი ხელიდან არ გაუშვათ.

თხის რქა



დამდეგი წელი თხის რქისთვის გახსნილი იქნება. პირველი თვეებიდან სატურნის დაქვემდებარებულებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ამ ცხოვრებაში მიზნის მისაღწევად დიპლომატიის და კომპრომისის ხელოვნება უნდა აითვისონ. ადამიანებთან ურთიერთობის და სხვების დახმარების გარეშე თხის რქა ვერასდროს შეძლებს გახდეს ის, რაზეც ოცნებობს. დროა, სამყაროს გაუღიმოთ და მაშინ სამყაროც საპასუხოდ გაგიღიმებთ! 2020 წელი კარგი დროა ოჯახის შესაქმნელად და ახალი, პერსპექტიული ნაცნობების გაჩენისთვის.

მერწყული

დამდეგ 2020 წელს მერწყულს კარგი განწყობა და უამრავი ცხოვრებისეული გეგმა ექნება. გეგმების შესრულებას ნამდვილად შეძლებს, თუ საკუთარი ხელით არ გაანადგურებს იმას, რაზეც ამდენი წელი შრომობდა. ამისთვის, ჭორებს არ უნდა მოუსმინოთ და არ დაუჯეროთ იმას, რაც საკუთარი თვალით არ გინახავთ, არაკეთილმოსურნეების პროვოკაციებმა შეიძლება თქვენი ცხოვრება გაანადგურონ, თუ წინდახედულობას არ გამოიჩენთ.

თევზები



თევზებისთვის თეთრი მეტალის ვირთხა ახალ არხს ნიშნავს, რაც მათ ცხოვრებას მნიშვნელოვნად შეცვლის. შესაძლოა, საკუთარი შიშების და ეჭვების გამო, ყველაზე არასასიამოვნო პერიოდის გადატანა მოგიწიოთ, მაგრამ ეს ამად ღირს. წლის ბოლოს თქვენს გარდასახვას გაოცებული შეაფასებთ და კმაყოფილებით აღნიშნავთ, რომ განვითარებისთვის ახალი ნაბიჯი გადადგით.

საინტერესო გამოფენა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხელოვან ქეთევან ბარბაქაძის პერსონალური გამოფენა „ცივი ფაიფურის სამყაროში“ გაიხსნა.

გახსნის ღონისძიებას უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილე სამეცნიერო დარგში მურად მთვარელიძე. გამოფენაზე, რომელსაც მხატვრები, ხელოვნების მოყვარულები და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ხელოვანმა ბოლო პერიოდის ნამუშევრები წარმოადგინა.

გამოფენა „ცივი ფაიფურის სამყაროში“, რომელსაც დამსწრეთა საყოველთაო მოწონება ხვდა წილად, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ათი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

"იბერიის თასმა" ხაშურში დაიდო ბინა

ქალთა ფეხბურთი, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იკრებს ძალას საქართველოში. ამაში კი, ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთი დიდი წვლილი ხაშურსაც მიუძღვის. თემურ კობერიძე, წარშულში შესანიშნავი ფეხბურთელი და აწ პროფესიონალი მწვრთნელი, იყო ის პიროვნება, რომელმაც ამ ოციოდე წლის წინ, თამამად შეიძლება ითქვას, ნულიდან დაიწყო და დღეს ხაშურის ქალთა თუ გოგონათა გუნდები ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ამის დასტური, ძველ წარმატებებს რომ თავი დავანებოთ, ამ დღეებში, "იბერიის თასის" გათამაშება გახდა. აღნიშნული ტურნირი პირველად გაიმართა და სასიამოვნოა, რომ "იბერიის თასმა" ხაშურში დაიდო ბინა. ტურნირზე 15 წლამდე გოგონები მონაწილეობდნენ და ჩვენმა გუნდმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს. ფინალამდე გოგონები უპრობლემოდ მივიდნენ(ბურთების საერთო შეფარდება-9:1), ფინალში კი მცხეთა-მთიანეთის ნაკრებს 4:3 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ ტურნირზე დაწესებული სხვადასხვა პრიზიც ჩვენს ფეხბურთელებს ერგოთ: საუკეთესო მეკარე ნინო ავეტისოვი გახდა, საუკეთესო ბორმბარდირი-ელენე ენჯიბაძე, საუკეთესო ფეხბურთელი კი-ნინო ბუხრიკიძე. ამ ფეხბურთელების გარდა კი, "იბერიის თასი" მაგდა პაპიაშვილს, სალომე გამრეკელს, ლიზი ნიშნიანიძეს, მარი დოიჯაშვილს, მედეა ძამანაშვილს, ნინო ხუციშვილს და თიკო ელისაშვილს გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ მაგდა პაპიაშვილი, ლიზი ნიშნიანიძე და ნინო ხუციშვილი, ჯერ მხოლოდ 11 წლისანები არიან და ასეთი წარმატება, ასეთი კარგი მწვრთნელის ხელში, უდავოდ სახავს მათ მაღალ პერსპექტივებს.

ვულოცავთ ჩვენს გოგონებს ამ წარმატებას და იმედია "იბერიის თასს" კიდევ ბევრი გამარჯვებები მოჰყვება.

D კაცი, რომელიც დააკლდა ხაშურს

სულ ცოტა ხნის წინ დავემშვიდობეთ განსაკუთრებულ ადამიანს, გულმხურვალე თანამოქალაქეს და მნიშვნელოვან ფიგურას ქართული რაგბის ისტორიაში-თემურ რუხაძეს. ძნელია წარსულში დაწერო მასზე, არ ნელდება ტკივილი და მოგონება ამ ბობოქარ და კოლორიტ კაცზე: მის სახელს უკავშირდება 1966 წლიდან ქართული დიდი რაგბის განვითარება, სადაც წარუშლელ კვალად დარჩება, როგორც მრავალი დამსახურებული ეპიზოდის ავტორი, ამიტომაც, ამ სახეობაში სპორტის საპატიო ოსტატის წოდება ერთ-ერთ პირველს თემურ რუხაძეს მიენიჭა. სხვადასხვა დროს და ადგილას მიღებული ტიტული "ჩემპიონი" ყველაზე უკეთ გამოხატავს ამ სულით ანთებული და ათლეტი სპორტსმენი კაცის შეფასებას, როგორც სპორტულ სარბიელზე, ისე ადამიანურ ურთიერთობებში. უამრავ მიღებულ ჯილდოებს შორის, უმნიშვნელოვანესია სპორტის დიდი დამსახურებისათვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაწეული საქმიანობისათვის მიღებული მაღალი სახელმწიფო ჯილდო-ღირსების ორდენი. საყოველთაო პატივისცემა სდევდა ბატონ თემურის გამოჩენას ყველა თაობის ადამიანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, თითოეულთან სათქმელი, მეგობრობა და უშურველი თანადგომა აკავშირებდა.

თავდავიწყებული სიყვარულით უყვარდა ხაშური, ქალაქი, რომელსაც გამგებლობის წლებში მრავალი ფიქრი, ძალა და ენერგია შეალია, რომლის სატკივარიც ტკიოდა მუდამ. თვითონაც განსაკუთრებული ოჯახის შვილმა, გააგრძელა ღირსეული ტრადიცია და საკუთარი ოჯახი შექმნა გამორჩეულ ქალბატონთან-სამუსიკო სკოლების გაერთიანების მმართველ ლალი რუხაძესთან. მეუღლესთან ერთად, რუდუნებით და ძალისხმევით შეუდგა ხაშურის სამუსიკო სკოლის დამაშვენებას და ახალი აღმავლობის გზას. სკოლას ხშირად მიუდია ბატონი თემურისგან მორალური, ემოციური და ფინანსური მხარდაჭერა. კეთილი საქმის კეთების ოსტატი გახლდათ ბატონი თემური, გაცხადებულად და მალულად ქვაზე დადებული მადლი, მისი ცხოვრების კრედო, მისია და მოვალეობა იყო.

გზა გრძელდება, ცხოვრების კანონზომიერება იმედად სინათლის სხივს გამოაჩენს ხოლმე-ეს სხივი კი ბრწყინვალე სახელებია ქართულ სამედიცინო სფეროში. თემურ რუხაძის ქალიშვილები, მაია რუხაძე-მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის სპეციფიკური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიის ალერგიის, ასთმისა და სპორტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ასთმის ბორდის წევრი, ინოვაციური მედიცინის ინიციატივის წარმომადგენელი საქართველოში. საქართველოს ასთმისა და ალერგიის პაციენტთა ასოციაციის დირექტორი.

თამარ რუხაძე-ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი, თსუ პროფესორი, პალიატიური მედიცინის საერთაშორისო ექსპერტი, თსუ ონკოლოგიისა და პალიატიური მედიცინის ფაკულტეტის მედიცინის კათედრის ხელმძღვანელი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. აკად. ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

ლამაზი იუმორით, სიცოცხლის და ადამიანური სიყვარულით, უშუალობით და, ამავდროულად, ბობოქარი ბუნებით ისტორიას დარჩება საამაყო ხაშურელი კაცის სახელი, ეს სახელი–თემურ რუხაძეა.

მეგობრები: ინგა ხრიკაძე, მედეა შიუკაშვილი, ნანი ქიტიაშვილი, ლიანა ტატიშვილი, მაია მურადაშვილი, ეთერ თომაძე, მაია შიუკაშვილი, ნანა ლაბაძე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.